რესურსის სათაური

ადამიანის უფლებები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვის თავისუფლება (ქეისები)

ავტორი/ავტორები

ნინო გვარამაძე

სამიზნე აუდიტორია

საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მასწავლებლები

პრაქტიკული გამოყენება

ადამიანის უფლებების სწავლება საბაზო საფეხურზე

რესურსის ტიპი

თემატური აქტივობა

მიზანი

მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებაში

ეს რესურსი ერთ-ერთია რესურსების სერიიდან „ადამიანის უფლებები“. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ერთი, ისე ყველა ქეისი. ყველა მათგანი ასახავს რეალურ ფაქტებს.

ქეისებზე მუშაობისას დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად ან საერთო საკლასო დისკუსია ჩაატერეთ.

1. *გააცანით მოსწავლეებს ქეისის პირველი ნაწილი*

მერი უილიამსი ცნობილი კინომსახიობია. 2006 წელს OracleEnligne ვებგვერდმა გამოაქვეყნა ინტერნეტში სტატია ბრალდებებით, რომლის მიხედვითაც მსახიობს რომანი ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან და ახდენდა გავლენას სამთავრობო გადაწყვეტილებებზე.

OracleEnligne-ის კომენტარების განყოფილებაში ანონიმურმა კომენტატორებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ქალბატონ უილიამსს უხამსი სიტყვების გამოყენებით და ერთ-ერთი მათგანი გაუპატიურებითაც დაემუქრა.

ქალბატონმა უილიამსმა ჟურნალს ცილისწამებისთვის უჩივლა. მან მოითხოვა ვებგვერდისგან კომენტარების დაუყოვნებლივ წაშლა და მისთვის გარკვეული თანხის გადახადა მორალური ზიანისთვის. ის ასევე ჩიოდა თავად სტატიაზე და ფოტოებზე, რომელიც OracleEnligne-მა გამოაქვეყნა; მან ეს შეაფასა როგორც მის პირად ცხოვრებაში შეჭრა.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვა

- როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო? რატომ?

მსჯელობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს სასამართლოს გადაწყვეტილება (ქეისის მეორე ნაწილი)

მისი ქვეყნის (რომელიც ევროპის საბჭოს წევრია) სასამართლოებმა დაასკვნა, რომ OracleOnline იყო პასუხისმგებელი ინტერნეტმომხმარებლების კომენტარების გამოქვეყნებაზე და, რომ სტატია რეალურად შეიცავდა ცილისმწამებლურ შენიშვნებს ქალბატონი უილიამსის მიმართ. მათი გადაწყვეტილებით ვებგვერდს ქალბატონი უილიამსისთვის 7000 ევროს გადახდა დაეკისრა. თუმცა, იმავე სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ქალბატონი უილიამსი, როგორც ცნობილი ვარსკვლავი, მზად უნდა ყოფილიყო მისი ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნებისთვის.

დაურიგეთ მოსწავლეებს ევროპული კონვენციის პირველი კარის ტექსტი
https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat და დაუსვით კითხვები:

- მერი უილიამსს სურს გაასაჩივროს სასამართლოების გადაწყვეტილება სურათების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. შეუძლია თუ არა მას საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადასცეს? იმ შემთხვევაში, თუ მან გადაწყვიტა საჩივრის შეტანა, ევროპული კონვენციის რომელი მუხლი(ები) შეუძლია გამოიყენოს მან?

- OracleEnligne ვებგვერდს, თავის მხრივ, სურს გაასაჩივროს სასამართლოების გადაწყვეტილება თანხის გადახდის შესახებ. შეუძლია თუ არა მას მიმართოს სასამართლოს? თუ შესაძლებელია, ევროპული კონვენციის რომელ მუხლ(ებ)ს შეიძლება ის დაეყრდნოს?

განმარტება მასწავლებლისთვის

- თუ მერი უილიამსი გაასაჩივრებს სასამართლოების გადაწყვეტილებას სურათების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ის დაეყრდნობა ევროპული კონვენციის ***მე-8 მუხლს „პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის თავისუფლება“.***
- თუ OracleEnligne ვებგვერდი, გაასაჩივრებს სასამართლოების გადაწყვეტილებას თანხის გადახდის შესახებ, ის დაეყრდნობა ევროპული კონვენციის ***მე-10 მუხლს „გამოხატვის თავისუფლება“***

2. გააცანით მოსწავლეებს ქეისი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იხილავდა ევროპის ცნობილი მაუწყებლის ჟურნალისტის საჩივარს. საქმე ეხებოდა პოლიციის მიერ მისი სახლის ჩხრეკას მას შემდეგ, რაც 2010 წლის თებერვალში გაშვებულ იქნა გადაცემა, რომელიც აცნობებდა საზოგადოებას სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის გაჟონვის შესახებ. ჩხრეკა მოხდა ინფორმაციის წყაროს დადგენის მიზნით.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვა:

- რა უფლების დარღვევასთან გვაქვს საქმე

გააცანით მოსწავლეებს სასამართლოს გადაწყვეტილება:

ევროპის სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (გამოხატვის თავისუფლება), სადაც ხაზგასმულია, რომ ჟურნალისტებს უფლება აქვთ არ გაამჟღავნონ თავიანთი წყაროები.

3. გააცანით მოსწავლეებს ქეისი

საქმეში მოსლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2011), სასამართლომ დაასკვნა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ დაურღვევია პოზიტიური ვალდებულებები კონფიდენციალურობის უფლებასთან დაკავშირებით. საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც ჰქონდა მიღებული ფულადი კომპენსაცია შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებით იმის გამო, რომ დაირღვა მისი კონფიდენციალურობა საგაზეთო სტატიით სექსუალურ ქმედებებთან დაკავშირებით. მომჩივანმა განაცხადა რომ, კონფიდენციალურობის ადეკვატურად დაცვის მიზნით, გაერთიანებული სამეფო ვალდებული იყო გამომცემლებისთვის მოეთხოვათ, ეცნობებინათ სუბიექტებისთვის მათ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნებამდე,

რათა მათთვის შესაძლებლობა მიეცათ სასამართლოს ძალით მოეთხოვათ გამოქვეყნების აკრძალვა.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს არ აქვთ ვალდებულება დააკისრონ მედიას ასეთი წინასწარი შეტყობინების მოთხოვნა.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- რა უფლებების ირგვლივ მიმდინარეობდა სასამართლოს განხილვა?
- ევროპის კონვენციის რომელი მუხლები პასუხობს ამ უფლებებს?
- მოძებნეთ კონვენციაში პუნქტი, რომელიც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

განმარტება მასწავლებლისთვის

სასამართლოს განხილვა ხდებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებების დაცვის ირგვლივ.

ამ უფლებებს პასუხობს მუხლი 8 და მუხლი 10.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობები მოცემულია მე-10 მუხლის მეორე პუნქტში.

გამოყენებულია:

1. La Convention européenne des droits de l'homme en pratique, Ressources pédagogiques
2. Privacy and Freedom of Expression,
3. Global Freedom Expression, Columbia University https://globalfreedomofexpression.columbia.edu/wp-content/uploads/2023/01/Privacy-and-Freedom-of-Expression-4.pdf